№ 34

24 აგვისტო

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან. წლის დალევამდი 2 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

**ბალი რესტორანი**

**„ЮЖАНЕ“** (სამხრეთელები)

დვორცოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის თეატრთან ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის თფილისის საზაფხულო თეატრის საოპერო ორკესტრი ბ-ნ **პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით. სადილი ორი ბლუდიდან ღირება 60 კაპ. 3-დან 80 კ. 4-დან—1 მან. აქვე არის საჭმელების სია და პრეისკურანტი ყველანაირის სავნებისა.

ფასები ხელმისაწდომია.

**შესვლა უფასოა.**

ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

**ფორტოპიანოს ამწყობი**

**გ. ლ. ხარიშჩაროვი**

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

**მიიღება შესაკეთებლად** ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით **იყიდება** როიალიდან და პიანინოდან მტვერის **გამოსაბერავი**. ფასი 3 მანეთი.

**სამუსიკო სასწავლებელი ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა**

(გადავიდა ახალ ბინაზე: საპიორნი ქუჩა, სახლი ძლენტისა, № 18.

**მასწავლებელთა სია:** (ფორტოპიანოზედ), კნ. ბ. ამირაჯიბისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ო. მ. პივოვაროვა ბერგის და ე. ვ. ფოდელისა (ვიოლინოზედ), [illegible] კლოპედია და ხორის კლასსები) ზაქ. პ. ფალიაშვილი, (ნოტების კითხვა) გ. ი. ნატრაძე.

მოწაფეების მიღება დაიწყება ამა აგვისტოს 25-დან, სწავლა 1 ენკენისთვიდან. კანცელარია, როგორც სკოლისა, ისე საზოგადოების გამგეობისა ღიაა დილის 10 საათიდან 1-მდე და საღამოს 5—7-მდე.

## Харковскіе высшіе женскіе курсы

(Вознесенская ул. № 3).

Пріемъ прошеній на 1, 2 и 3 к. к. **Историко-Филологическаго** и **Юридическаго факультетовъ** (съ 3-годичнымъ курсомъ, какъ въ Импер. Моск. Лицеѣ) производится въ канцеляріи этихъ факультетовъ (Мало Гончарская, 2).

Пріемъ прошеніи на 1, 2 и 3 к. к. **Медицинскаго Факультета** (Клиники III курса оборудованы) производится въ Канцеляріи Медицинскаго факультета (Вознесенская, № 3). Прошенія подаются на имя Завѣдующей Курсами и адресуются въ Канцелярію избраннаго факультета.

При прошеній поступающими на I курсъ представл. подлин. док.: ат. 7 кл. гимн., инст., епархіальн. или равныхъ имъ по пограм. зав., метр. свид. о рожд. (и брачное для замужнихъ), св. о политическ. благонад., 2 фот. и 1/2 год. плата (на медиц. фак. 200 р. въ годъ и на юридеч. и ист.-фил.—125 р. нъ годъ), и почт. марки для отвѣта, иначе прошенія не разсматриваются. Для поступленія на старшіе Курсы кромѣ вышеупомянутыхъ докумен. подается еще удостовѣреніе о зачетѣ семестровъ сооовѣтств. уч. зав.

На курсахъ преподаются теоретич. и практич. (для слушательн. всѣхъ фак.) латинскій яз. и новые языки: франц., англ. и нѣмецк,

**Лицамъ Іудейскаго вѣроисповѣданія курсы права жительства не даютъ.**

**კაფე პარიზი!!**

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში (Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

**ხაჭაპური**

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

Заводск марка

Кавказскій натуральный

Коньякъ

Д. З. Сараджевъ

О. С. (Очень Старый.) тифлисъ

№ 25

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

**დამირავებას და გადამირავებას**

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8 1/2—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

**ქართული ხალხური სიმღერები და**

**ლექსები**

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფ. 50 კ.

**თბილისი, 23 აგვისტო.**

მანჯურიის იმ ნაწილს, რომელიც უკანასკნელ ომის შემდეგ იაპონელების ხელში გადავიდა, ადამიანი ეხლა ვერც იცნობს იქ, სადაც რუსი მხოლოდ არაყის სმას და უზნეობას ავრცელებდა, იაპონელებმა ნამდვილი განათლება შეიტანეს, — გაკეთდა გზები, გაშენდა ქალაქები, აყვავდა მრეწველობა და ვაჭრობა,—სცოცხლე სდუღს, ხალხი განვითარების გზას ადგია, ამ განვითარებას წინ მიუძღვება და ხელმძღვანელობას საუკეთესო იაპონელების მეცადინეობა...

ვინც ეხლა მივა მანჯურიაში უთუოდ დარწმუნდება, რომ უცხო ერში, უცხო ქვეყანაში კულტურის დასამყარებლად და განსავითარებლად რუსი არ ვარგა, არ ვარგა იმიტომ, რომ შინაც არა აქვს კულტურა, არ ვარგა იმიტომ, რომ სხვებში კულტურის განსავითარებლად საჭიროა ამ სხვების სიყვარული, სხვების გაცნობა—რუსებს სხვების, „ინოროდცების“, არც გაცნობა და არც სიყვარული არა აქვთ...

ეს გაუცნობლობა და უსიყვარულობა რუსებმა მხოლოდ შორეულ მანჯურიაში როდი გამოიჩინეს, ესევე ზნე სჭირთ რუსებს პოლონეთშიაც, სადაც რუს ჩინოვნიკების გაბატონება ხელს უშლიდა და ხშირად ახლაც უშლის ნამდვილ, ევროპიულ კულტურის ზრდას და პოლონელების ბუნებრივ განვითარებას. ესევე ზნე გამოიჩინეს რუსებმა ჩვენშიაც,—ას წელიწადზე მეტია მას აქეთ, რაც საქართველო რუსეთის ხელქვეითი გახდა.— ამ ასი წლის განმავლობაში მთელი [illegible]ლობის მაგიერად ხალხი ჩამორჩენის გზას ადგია... ის, რაც შემოვიდა ჩვენში სახეირო და ხალხისთვის საკეთილდღეო, ხალხის თვითმოქმედებას წყალობით არის შემოღებული, ხშირად რუს ჩინოვნიკების სურვილის წინააღმდეგაც. რუსებმა თავიანთ თავისთვისაც ბევრს ვერაფერს ახერხებენ, რუსეთი დღესაც ჩამორჩენილ ქვეყნად არის ცნობილი, მაგრამ თავისთვის ისინი მაინც ბევრად მეტს აკეთებენ ვიდრე ჩვენთვის,—მთავრობა რუსობას მეტ უფლებებს ანიჭებს, ვიდრე ჩვენ, შიდა გუბერნიებში მას დიდი ხანია, მაგ. ერობა აქვს შემოღებული, ჩვენში კი ამ ერობაზე მხოლოდ ახლა დაიწყეს ლაპარაკი და როდის შემოიღებენ, არავინ იცის. რუს ჩინოვნიკობას ყოველგან ენიჭება უპირატესობა, ეს უპირატესობა აქვს არა მარტო რუს ბურჟუაზიულ კლასსებს, რუსი მუშებიც დღეს დღეობით უკეთეს პირობებში არიან ჩაყენებული, ვიდრე ქართველი მუშები, რუს გლეხობას მთავრობა მეტ მზრუნველობას უჩენს ვიდრე ქართველ გლეხობას... ამიტომ რუს გლეხობას, რუს მუშებს, რუს ჩინოვნიკობას, რუს ბურჟუაზიას და რუს კაპიტალისტებს უფრო ეადვილებათ ცხოვრება და ამით უფრო ეადვილებათ კულტურულ განვითარებაზე ზრუნვა, ვიდრე ქართველ გლეხობას, ქართველ მუშას, ქართველ ერის ყოველივე წარმომადგენელს, სულ ერთია მდიდარია იგი თუ ღარიბი!..

ამიტომ ხდება, რომ ჩვენში რუსებს არავითარი სიკეთე არ შემოუტანიათ ისევე, როგორც მათვე ვერ შეიტანეს სიკეთე მანჯურიაში. ამიტომ ხდება, რომ რუსების ხელში ქართველ ერს ყოველთვის ზედ მეტი ზრუნვა და მეცადინეობა დასჭირდება თავის საკუთარ კეთილდღეობაზე... ის, რასაც სხვა ქვეყნებში მთავრობა კისრულობს, ის, რასაც სხვაგან მთავრობისაგან გადასახადის სახით შეგროვილი ხალხის ფული ხმარდება, ჩვენში თვით ხალხმა უნდა იკისროს, ჩვენში ხალხმა თავის საკუთარის ხარჯით უნდა მოაწყოს...

მთავრობის გულკეთილობის იმედით ჩვენ ვერასოდეს ვერ დავრჩებით, რუსებისაგან ქართველებში კულტურულ მუშაობას ვერ ველირსებით... ამიტომ ის, რასაც არ აკეთებს მთავრობა, ის, რასაც ხელს უშლის ჩვენში რუსობა, უნდა ვიკისროთ ჩვენ, ქართველებმა და ჩვენი საკუთარის ძალღონით მოვაწყოთ..

ეს საკუთარის ძალღონით საქმის მოწყობა შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც ხალხში მომქმედი ძალები ამ მუშაობას ისურვებენ და მას მთავრობასავით წინ არ აღუდგებიან, როდესაც ქართველ ერის ყველა ნაწილი შეიგნებს თავის შევიწროვებას და ერთმანეთს ძმურად გაუწვდის ხელს ხალხში კულტურულ მუშაობისთვის, რადგანაც ამ მუშაობაში ყველას თანასწორად სჭირდება, საერთო მტრის მოგერება და რადგანაც ამ მტერს თანასწორად ეჯავრება ქართველი მუშა—ქართველი ინტელიგენცია, ქართველი გლეხი და ქართველი ვაჭარი...

ეს მტერი ყველას თანასწორ შევიწროვებას გვიქადის, ეს მტერი ყველამ მტრად უნდა იცნოს, ამ მტერს ყველამ თანასწორი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს. ის ადამიანი, ან ის პარტია, რომელიც ხალხს ამ მტრის არსებობას უმალავს, ამით აბრმავებს ხალხს და მტერს კი ქართველებზე გამარჯვებას უადვილებს...

მტერ-მოყვარე ყოველთვის უნდა იცნოს ადამიანმა, მტერ-მოყვარე ყოველთვის უნდა იცოდეს ხალხმა, ეს მტერმოყვარე სხვა და სხვა საქმეში სხვა და სხვა არის,—მთავრობა, რომელიც რუსმუშისათვის პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში მტერია, კულტურულ ბრძოლაში მისი მთარველი და [illegible] მუშების [illegible] უპირატესობას აძლევს, რუს მუშებს იმ თავისუფლებას ანიჭებს, რომელიც არა რუს მუშებს არა აქვთ და ჯერ დიდხანსაც ვერ ეღირსებინა.

პირიქით ათასი მემარჯვენე რომ იყოს ქართველი მუშა, ათასი ერთგული რომ იყოს არსებული წესწყობილების,—ახლანდელ ცენტრალისტურ სახელმწიფოში რუს მთავრობისთვის იგი ყოველთვის გერი იქმნება, რომელსაც მთავრობა დედინაცვალივით მოექცევა. არა, წარმოიდგინეთ, მთავრობა მისცემს თავის ერთგულ ქართველებსაც უფლებას სახელმწიფოში. სახელმწიფო, ოფიციალურ ენად ქართული ენა გამოაცხადონ, მთავრობის ხარჯით დაარსებულ სასწავლებელში სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე შემოიღონ... ათასი ერთგული რომ იყოს მთავრობის ქართველები, ამას მათ მთავრობა არასოდეს არ მიანიჭებს, რადგანაც ყოველივე ეს კულტურულ ბრძოლის საკითხებია და კულტურულ ბრძოლაში კი რუსი მთავრობა ცენტრალისტურ რუსეთში ყოველთვის და აუცილებლად სოციალისტ რუს მუშას უფრო მიემხრობა და უპატრონებს, ვიდრე მონარხისტ ქართველს...

და რაკი ამნაირად ქართველობა, ისევე როგორც ყოველივე სხვა არა რუსი ეროვნება რუსეთში, თავის საკუთარ ძალების ანაბარად არის დატოვებული, ამიტომ საჭიროა, რომ ხალხმა ეს ძალები გამოიჩინოს და თავის თავს უპატრონოს...

ეს პატრონობა რაში გამოიხატება? რა გზას უნდა დაადგეს ხალხი, რომ თავისი კულტურული ზრდა გაადვილოს და ამით თავი გაათავისუფლოს მასზედ წამოსეულს რუსების ტალღას? საიდან უნდა მოინახოს დღეს დღეობით მძინარე ძალა, რა საშუალებით უნდა შეკავშირდეს დღეს ერთმანეთის მოწინააღმდეგე ქართველების სხვა და სხვა ნაწილი? რამ ჩაჰბეროს სული უგრძნობლად სხვის ხელში მგდებარე ქართველ ერის, რომელიც დღეს სძინავს, რადგანაც თავის მონურ მდგომარეობას ვერც კი გრძნობს და ამითი არც კი სწუხდება?

ამ კითხვებს ყურადღება უნდა მიაქციოს ქართულმა პრესსამ,—მიმართულების მიუხედავათ, ამ კითხვების გარკვევა სავალდებულოდ უნდა დაისახოს ყველამ, ვისაც ხალხის კეთილდღეობა სურს და ვინც ამ კეთილდღეობას ემსახურება.

**კ. თუმანიშვილი.**

## ახალი ამბები და დეპეშები

✦ ექსარხოსის თანამდ. აღმასრულებელმა ყოვლად სამღვდელო გიორგიმ თანამდებობიდან გადააყენა ქვიშხეთის მღვდელი მამა ლორია, რომელსაც სოფლად მემამულეთა საწინააღმდეგო აგიტაციის გაწევა ბრალდება.

✦ ხუთშაბათს, 27 აგვისტოს, ქართულ საზაფხულო თეატრში პ. ფალიაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნება ქართულად ორი ოპერეტა: „რაინდი უშიშარი და გულმართალი“ და „მეჯლისი იტალიელებით“.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი, ამხ. „კოლხიდას“ გამოცემული: „სახმო წესით“ კითხვის სწავლება. ანდრია შუბლაძისა. ფასი 10 კაპ.

✦ **სტავროპოლი.** პოლიციამ აღმოაჩინა მთელი ორგანიზაცია, რომელიც ბავშვებს ყიდულობდა და ასახიჩრებდა. ამ დასახიჩრებულ ბავშვებს შემდეგ მათხოვრებზე ყიდდენ.

✦ ისლანდიაში მთავრობის განკარგულებით სრულებით აკრძალულია ღვინის სმა.

✦ მიუნხენში, ადგილობრივ თეატრში

✦ მთელ დედამიწის ზურგზე ფოსტის განყოფილება ყოფილა. ამათში ჩრდილო ამერიკაში 63000, გერმანიაში 50000, რუსეთში კი მხოლოდ 18000. ფოსტის მოხელე ყოფილა 1.395,247. მოხელეთა რიცხვით პირველი ადგილი უჭირავს გერმანიას. საფოსტო ყუთი ყოფილა სულ 767,898. ამათში თითქმის 150000 ყუთამდის მხოლოდ გერმანიაში ყოფილა.

✦ შაბათს, 29 აგვისტოს ვერის სახალხო თეატრში ს. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „პატარა კახი“.

✦ **პეტერბურგი.** ტატარინოვი 22 აგვისტოს თავის აეროსტატით უნდა აფრენილიყო, მაგრამ აეროსტატი უვარგისი გამოდგა.

✦ **კაზვინი.** ურმიაში ქურთებთან ინციდენტი მშვიდობიანად გათავდა. არდობილიდან 500 აქლემით რუსეთიდან წასული საქონელი წავიდა თავრიზისაკენ.

✦ **შანხაი.** ჩინეთის მთავრობა აუარებელ ფულს აგროვებს ჯარების რეორგანიზაციისთვის.

✦ **პეტერბურგი.** ვიღაც უცნობებმა სცადეს კასირის გაძარცვა, 20,000 მან. უნდა წაეღოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

✦ **სტოკჰოლმი.** გაფიცვა თან და თან სუსტდება. დღეს მუშები ბევრგან დაადგენ საქმეს.

✦ **ბერლინი.** რატი და ცეპელინი აეროპლანებით ჰაერში აფრინდენ; ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მათ.

✦ ბულაცელი და იუშკევიჩ-კორსაკოვი წაჩხუბებულან, ამიტომ უკანასკნელი ფინლანდიის სასამართლოში გერცენშტეინის საქმეზე თავის თავს თვითონ დაიცავს.

✦ ქართული თეატრის მომავალი სეზონი ჯერჯერობით არ არის გამორკვეული, როდის დაიწყება. დრ. საზ. გამგეობამ სურვილი გამოაცხადა იჯარით აიღოს თავად-აზნაურთა თეატრი, მაგრამ თავ.-აზნაურობა ჯერ-ჯერობით ამ სურვილს ძალიან ცივათ მოეკიდა.

## ჩემი დღიური

როდესაც „ივერიის" უკანასკნელ ნომერში აღვნიშნეთ, რომ განსვენებულ სევერიან ჯუღელის დასაფლავებას განსაკუთრებითი ქართველობა დაესწრო და რუსობა ან სომხობა მხოლოდ აქა თითო ოროლა სჩანდაო, ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, რომ ამაზე „დროება" გაჩუმდებოდა და „ჩანგი" განგაშს ასტეხდა, ჩვენ პროვოკატორს და შუღლისა ან მტრობის დამთესველს დაგვიძახებდა...

ასეთი ზნე სჭირს ორივე გაზეთს,— „დროება" მორცხვად სდუმდება და ხმის ამოღებას ვერ ახერხებს იქ, სადაც ცხოვრება ზოგიერთ ლამაზად წამოსროლილ პრინციპს უარყოფს და ამ პრინციპის უვარგისობას ამტკიცებს... „ჩანგი" ბრაზობს, როდესაც ამ დარღვევას ხედავს და რაკი ფაქტის უარყოფა არ შეუძლია, აგინებს იმას, ვინც გაბედავს და ამ ფაქტს საქვეყნოთ აღნიშნავს...

და რაკი ფაქტი თავის თავად ღაღადებს „ჩანგისტების" მიერ წამოყენებულ პრინციპების უარისყოფას, ამიტომ ეს ვაჟბატონები ცდილობენ მკითხველ საზოგადოების ყურადღება მოაშორონ ამ ფაქტს და ახალი საკამათო საგანი აღმოაჩინონ. ამისათვის სხვა და სხვა ტყუილს უგონებენ მოწინააღმდეგეს და ამ ტყუილით მოწინააღმდეგესი დამცირებას და დამარცხებას ცდილობენ...

„ჩანგი" **სტყუის**, როდესაც ამბობს, ვითომც „ივერიაში" ახლად განსვენებულ სევერიან ჯუღელის დამამცირებელი რამ ყოფილიყოს დაბეჭდილი. პირიქით „ივერიაში" მისი ქება იყო და ყველა, ვისაც „ივერიის" უკანასკნელი ნომერი აქვს წაკითხული ამაში დაგვემოწმება... „ივერიაში" მხოლოდ აღნიშნული იყო ის ფაქტი, რომ სევერიან ჯუღელის დასაფლავება ქართველ ეროვნების დამცველ ქართველ მამულიშვილის დასაფლავებას უფრო გავდა, ვიდრე საერთაშორისო სოლიდარობის მქადაგებელ ინტერნაციონალისტის დასაფლავებას... „ჩანგისტებისთვის" ეს გარემოება შეიძლება ადამიანის დამამცირებელია, „ჩანგისტებს" ეგება რცხვენიათ ვინმე ქართველ მამულიშვილსავით ქართველებისაგან იქმნეს დასაფლავებული, მაგრამ ჩემთვის, რაკი მე ინტერნაციონალი არ მრწამს, ეს ხომ სათაკილოდ მისაჩნევი არ არის და ამიტომ მე თუ აღვნიშნავ, რომ ვინმე ქართველ მამულიშვილივით დაასაფლავეს, ეს ჩუმ პირში ადამიანის უფრო ქება, ვიდრე დამცირებაა.

„ჩანგისტებს" ეწყინათ სხვა რამე,— მათ ეწყინათ, რომ „ივერიაში" გაბედულოდ აღნიშნული იყო ის ფაქტი, რომელიც ყველამ შენიშნა, რომელზედაც ყველა ჩუმად ლაპარაკობდა და რომლის ამჟღავნად გამხელას ვერავინ ვერ ბედავდა... ეს ფაქტი გახლავსთ—დასაფლავებაზედ ქართველებს გარდა სხვა ეროვნებათა დაუსწრებლობა.

გაზ. „ჩანგში" ვიღაც გ. ფ—იანცი, მართალია, აცხადებს, სომხებიც იღებდენ მონაწილეობას ამ დასაფლავებაშიო, მაგრამ მე კი არ მითქვამს, ვითომც კუბოს არც ერთი სომეხი, ან არც ერთი რუსი არ მიყვებოდეს, თითო ოროლა სომეხი (სომხობის მაგიერობას ვერ გასწევენ ისევე როგორც თითო ოროლა ბურჟუა, დასაფლავებაზე მისული არ კმაროდა იმისთვის, რომ სევერიანე ჯუღელი ბურჟუაზიამ დაასაფლავაო.

ჩვენზე გულის მოსვლა რა საჭიროა,— ამითი ფაქტის დარღვევა არ შეიძლება, —რამდენიმე სომეხი და რამდენიმე რუსი დასაფლავებაზე ჩვენც დავინახეთ,— ნუ თუ ტფილისის სომეხ მუშებში და რუს მუშებში სევერიან ჯუღელის მეტი პატივისმცემელი არ აღმოჩენილა. სევერიან ჯუღელი უბრალო ვინმე ხომ არ იყო,—დახედეთ „ჩანგის" უკანასკნელი ნომრები როგორ აჭრელებულია მის სამგლოვიარო დეპეშებით,— ნუ თუ მას მეტი პატივისცემა არ ეკადრებოდა...

მე ვამბობდი ასეთივე გამოჩენილი სომეხი ან რუსი სოციალ-დემოკრატი რომ მომკვდარიყო, ქართველები პირველ რიგში გამოიჭიმებოდენ მის დასაფლავებაზე პირველობას არავის არ დაუთმობდენ... ეს განა ტყუილია? ქართველი სხვისი ქელეხში მარჯვეა, მარჯვეა სხვის საქმის გასაკეთებლად, არ ვარგა მხოლოდ თავისთვის, რადგანაც თავის საქმეს ივიწყებს და თავის საკუთარ ინტერესებზე ზრუნვას ან არ კადრულობს ან ვერ ახერხებს.

სევერიანე ჯუღელის დასაფლავება ამ მხრივ მეტად ჩამაფიქრებელია და მის ამხანაგებს უნდა იამოს, რომ განსვენებულმა, რომელიც თავის სიცოცხლეში სხვების კეთილდღეობას ემსახურებოდა, თავის სიკვდილითაც ამ სამსახურს არ უღალატა და ხალხს რამე სარგებლობა მოუტანა,—დაუმტკიცა, თუ რამდენად ფუჭია გარეშესათვის ზრუნვა: როდესაც შინ არის გასაჭირი და როდესაც ამ შინაურ გასაჭირის მოსასპობად გარეშე თავს არ იტკივებს...

„ჩანგისტები" ვერავითარ პოლიტიკოსობას და ვერავითარ ხალხის სიყვარულს იჩენენ—თავიანთ საპოლემიკო წერილში ისინი უფრო ლანძღვა-გინებას ცდილობენ, ვიდრე სიმართლის გარკვევას. ეს „ძმა-ბიჭური" ხრიკები მათს ეთიკას ახასიათებს, იმ ეთიკას, რომლის უქონლობასაც ისინი ჩვენ გვიკიჟინებენ. ეს „ხრიკები" სიმართლეს ვერ მოსპობენ, ვერ დაარღვევენ ჩვენგან აღნიშნულ ფაქტს და სევერიანე ჯუღელის დასაფლავებაზე დამსწრე ქართველობას სომხებად და რუსებად ვერ გახდიან... სევერიანე ჯუღელი ქართველებმა დაასაფლავეს, სევერიანე ჯუღელი ქართველი იყო და ამიტომ განსაკუთრებით ქართველებმა მას უკანასკნელად პატივი სცეს, და ასე ყოველთვის თავის ეროვნების ყოველ საქმეს თვით ამ ეროვნების წარმომადგენლები აკეთებენ და უნდა აკეთებდენ კიდეც, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება საერთო ბედნიერება. ყველა თავის ეროვნებაზე რომ იზრუნებს ყველა ეროვნება ბედნიერი იქმნება,—პირიქით, როდესაც ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლები სხვებზე ზრუნავენ და თავის ეროვნების ეროვნული საქმეებს ივიწყებენ, ამით ეს ეროვნება იჩაგრება...

ჩვენი სურვილი არის ეს დაჩაგვრა მოისპოს და „ჩანგისტები" კი სწორედ ამ დაჩაგვრას, ქართველების ყოველ მხრივ დაჩაგვრას ხელს უწყობენ და არა რცხვენიათ, სხვებს უწუნებენ ეთიკას და ხალხის ინტერესების გაგებას!..

**მეთვალყურე**

## ზესტაფონელებს

როგორც გავიგეთ, ზესტაფონში, ადგილობრივ ადმინისტრაციის შესახებ, გამოძიება უნდა იყოს დანიშნული...

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამბავი ყველას ესიამოვნება, რადგანაც ხალხში ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ მრავალი ნაირ-ნაირი ხმები დადის. ეს ხმები თუ მართალია, თუ მართალია ის, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სხვა სიგლახესთან ერთად, ხალხში ქრთამების აღებასაც კადრულობენ,—იმ შემთხვევაში ადგილობრივ საზოგადოების მდგომარეობა ვერასანუგეშოდ უნდა ჩავთვალოთ. მართლაც მშვიდობიანობის აღმდგენი ადმინისტრაცია თუ თვითონ არღვევს მშვიდობიანობას იმით, რომ ცემა-ტყეპით უმოწყალოდ ძლდება ხალხს, სამართლიანობის აღმდგენი, იგი თუ იქეთკენ ხრის სასწორს, საითკენაც მეტი ოქრო-ვერცხლია ამოღებული ქისიდან, ხალხის ქომაგი იგი თუ სჩაგრავს ხალხს და მასში უკმაყოფილებას აღვივებს,—ასეთი მდგომარეობა არც ხალხისთვის არის სასურველი, არც მთავრობისთვის... მართლაც მთავრობას თავისი ერთგული სჭირია მოსამსახურე და არა საკუთარ ჯიბის ერთგული. ამიტომ ამ ბოლო ხანებში მთავრობა მექრთამეობის მოსპობას ცდილობს და მექრთამეს არ ზოგავს. მექრთამეები აღმოჩნდენ კასპიის იქით მხარეში,—ისინი სამართალში მისცეს, მექრთამეები ყოფილან მოსკოვის ინტენდანტები, იმათაც სამართალში მისცემენ,—უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე მოექცევა მთავრობა ადგილობრივ მექრთამეებსაც...

მხოლოდ ამისათვის საჭიროა ამა თუ იმ მოხელე პირის მექრთამეობა ნამდვილად დამტკიცდეს.

მისი დამტკიცება კი შეუძლებელია, თუ თვით საზოგადოებამ საჭირო გამბედაობა და მოქალაქობრივი ძალა არ გამოიჩინა და გამომძიებლებს არ განუცხადა ყოველივე ის, რაც იცის, არ გაუმხილა, როდის და რისთვის მიუცია თვითონ ქრთამი...

რომელიმე მოხელემ მუქარით და ძალდატანებით თუ გამოართვა ვისმე ვაჭარს ქრთამი, ეს ქრთამი ვაჭარს დანაშაურად არ ჩაეთვლება და ამიტომ მას თამამად შეუძლია ასეთი ქრთამის გამხელა, დანაშაურად ჩაითვლება მხოლოდ ის ქრთამი, რომელსაც ადამიანი თავის ნებით გადიხდის, რამე უსამართლო საქმის გამოსაგვარებლად...

მაგრამ ეს დანაშაურიც, გამხელილ თუ იქმნა თვით ქრთამის გადამხდელისაგან, ნაკლები საპასუხისმგებლოა, ვიდრე ამ ქრთამის გამომძიებელთან დამალვა, რადგანაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამტკიცდება, რომ ქრთამის მიმღები ქრთამის ამღების კუდი ყოფილა, მასთან ერთად სიგლახის და ათასნაირ ბოროტმოქმედების ჩამდენი...

ზესტაფონის საზოგადოებამ და განსაკუთრებით ზესტაფონის ვაჭრებმა თამამად უნდა გამოაშკაარავონ გამომძიებელთან ყველაფერი, რაც გულში აქვთ, ამითი მრავალი უბედურებას თავს აიცილებენ... რად არიან ისინი გაჩუმებული? რატომ სდუმს ექიმი ნადირაძე, რომელიც ამას წინეთ გულშემზარავ ამბავს დაესწრო? რატომ გაზეთებში არა სწერს ამ ამბავს, რატომ არ ცდილობს ძალმომრეობის ჩამდენი დაისაჯოს?.. სულ ერთია სიმართლე გამოირკვევა და ხმები მართალი თუ გამოდგა და ადგილობრივი ადმინისტრაცია გამტყუნდა, მერმე იმათი დასჯას უნდა მიჰყოს ხელი საზოგადოებამ და მთავრობამაც, ვინც ხელს აფარებს ქრთამებს და ძალმომრეობას იმითი, რომ ვერ ბედავს და ამ ქრთამების და ძალმომრეობის ამბავს გამომძიებელს არ ატყობინებს!...

**რ.**

## საღღეისო

სწორეთ საკვირველია ქართველ ქველმოქმედების საქმე, დიდი გაჭირვება უნდა ადგეს კაცს, რომ მას მიმართოს; და თუ გაბედა მიმართვა დაკმაყოფილება ხომ ვეღარ ეღირსება, თუ ნათესავი, ან ვინმე გამოჩენილი მეგობარი არა ჰყავს. მხოლოთ ერთი რეკლამა შველის კაცს. ეს გახლავთ სახელი „საზოგადო მოღვაწისა". „საზოგადო მოღვაწის" სახელი კი ჩვენში ძლიერ იაფათ იშოვება. საკმარისია მხოლოდ ერთი თქვენი წერილი დაიბეჭდოს რომელიმე გაზეთში. აიღეთ რა ტემაც გნებავთ, თუნდა ათასჯერ გადაღეჭილი, ოღონდ სიტყვების რახარუხი და თქვენი სახელ-გვარი იყოს წერილის ქვეშ დაწერილი; ან და წაიკითხეთ რამე ლექცია, რეფერატი, მაშინვე გარს შემოგეხვევიან... და ისევე პირნი, რომელნიც წინეთ ხელის ჩამორთმევასაც არ იკადრებდენ არამც თუ სალამს, ეხლა კი პირფერობით შემოგცქერიან და არ იციან რითი დაიმსახურონ შენი კეთილ-განწყობილება. ამგვარად, რასაკვირველია, ადვილია „საზოგადო მოღვაწის" სახელის მოხვეჭა.

ერთი სიტყვით თუ ვისმესი ან რასმესი პროტეჟე არა ხართ—ტყუილად ნუ იწუხებთ თავს.

წარმოიდგინეთ, რომ განვლეთ როგორც იქნა გზა პროტექციებისა, ფორმალიზმისა და თხოვნებისა; დაგინიშნავენ რაღაც ოცდახუთ მანეთიან სტიპენდიას რომლიდანაც სწავლის ფულიც უნდა შეიტანოთ და თავიც ირჩინოთ პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც მარტო პაწაწინა და ნოტიო ოთახში იხდით 15—20 მანეთს; ხანდახან კიდეც სამი თვის განმავლობაში კაპეიკს ვერ მიიღებთ, რადგანაც ან სტიპენდიების გამგე ან ვინმე სხვა... სამგზავროთ წავა და თქვენ ხართ მშიერ-მწყურვალე, სტიპენდიის მომლოდინე; ასე მოექცა წელს თავის სტიპენდიანტებს ქუთაისის თავად-აზნაურობა.

ამასთანავე გავალებენ კიდეც იმუშაო, ეკზამენიები ბლომათ ჩააბარო და ჩქარა დაამთავრო, თორემ სტიპენდიას მოგისპობენ.

და თუ კი [illegible] ვრებას, მაშინ ხომ ახალი ტანჯვა ვაება მოგელით; მთელი თქვენი დრო და შრომა საზოგადო საქმეს უნდა მოახმაროთ; თუ გაბედეთ და განაცხადეთ:— რადგანაც ოჯახობა ან მშობლები გყავთ და თქვენ თავზედაც უნდა იფიქროთ, მაშინ შეიქნება ერთი აურ-ზიური და ყვედრება: „საზოგადოებას უღალატა,

---

# ფელეტონი
# „წკიპურტი"

№ 13 გასართობი გაზეთი № 13

**44 აგვისტო.**

**სახალხო უნივერსიტეტი.** იკრიბება სახალხო უნივერსიტეტის დამფუძნებელი კომიტეტი... შეიკრიბებიან, იბჭობენ და დაადგენენ გამართონ, როგორც შარშან, ლექციების კითხვა...

მხოლოდ ერთი რამ არის გასაკვირი!.. მას შემდეგ, რაც ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა აუკრძალეს სახალხო უნივერსიტეტს, რა მნიშვნელობა აქვს მას საზოგადოდ სხვა და სხვა კავკასიის ერებისათვის და კერძოთ ჩვენი ქართველი ხალხისათვის, ჩვენის აზრით სახალხო უნივერსიტეტი უნდა იყოს ყოველთვის ეროვნული, რასაკვირველია იმ ხალხისა რომელიც დაიარება ლექციებზე. და თუ ქართველი მდაბიო ხალხი, სახალხო უნივერსიტეტში რუსულ ენაზე მოისმენს ლექციებს, აქედან სიკეთე არა გამოვა. წამოიდგინეთ, რუსი ტეტია ან ქართველი, ფრანგულ ენაზედ წაკითხულ ლექციას ისმენს, საუცხოვოა! სწორედ საუცხოვო! და განა ცოტანი მოისურვებენ ლექციების მოსმენას ისეთნი, რომელთაც რუსულის არა გაეგებათ-რა; სახალხო უნივერსიტეტის კარები ხომ ყველასათვის ღია უნდა იყოს!..

მაშასადამე სახალხო უნივერსიტეტი იმ გვარი როგორსაც გვაწვდის ჩვენ ქართველებს და კავკასიის ერებს მთავრობა, ხეირს ვერ მოგვიტანს, გარდა სიგლახისა, ასეთ უნივერსიტეტის ძირითადი იდეიაა გამარუსებელი პოლიტიკა. სხვა საქმეა ასეთი უნივერსიტეტი აქაურ რუსთათვის... მათთვის დიაღაც დიდი შეღავათია ასეთი რამის ქონა...

მხოლოთ ჩვენ ის გვიკვირს, რათ იცხელებენ ზოგიერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწენი თავს ამ უნივერსიტეტისათვის. დროს კარგვა, წვალება, ფულების თხოვნა-შოვნა, კონცერტების და სეირნობის გამართვა... ყველა ეს იმიტომ რომ ჩვენგანვე დაარსებულ სახალხო უნივერსიტეტში ჩვენვე გაგვარუსონ!!! დიდებულია!!!

სწორედ დიდებულია!!!

### არ უღალატო!

არ უღალატო ჩანგურსა
კვალად შემართე სიმები,
აახმატკბილე... სევდისა
ცრემლებით დანაწვიმები,

არ შეუშინდე დროთ ბრუნვას
ნუ შეიზღუდავ გრძნობასა,
წიხლს ნუ ჰკრავ... ჩვენს ფიცს სიყვარულს
ენდევი ჩემსა ტრფობასა!...

**ანნა გარეკახელი**

### დეპეშები

— რადგანაც „იქანეს" ამხანაგობას მოჭიდავე ქალებში იმედი გაუცრუვდათ, მოჭიდავების მაგიერ ვიღაც „ხახლუშკები" ჩამოვიდენ, ამიტომ გადაუწყვეტიათ ტყუილ „თამარას" სახელწოდება ჩამოართვან და ბანკის ბალში მოკრივე ქალს მიართვან, იმ პირობით კი, რომ ნამდვილათ იჭიდაოს და არა ცხელ-ცხელი სილები არიგოს.

— რადგანაც ქალების ჭიდაობა ხელახლად განახლდა ქალთა საზოგადოებას დაუდგენია, ილია ჭავჭავაძის სიკვდილის ორი წლის თავის შესრულების აღსანიშნავათ (?) ერთხელ კიდევ გამართოს ქალთა ჭიდაობა: მხოლოდ ვინაიდგან „ვენერა და სატანა" აღარ არიან თფილისში. მის მაგიერ გორგიჯანოვის ბაღიდან მხიარული შანსონეტკები მოიწვიონ.

### მუშის ამონაკვნესი

ვერ შემაშინებს მტარვალთ მუქარა,
გინდ დაკოდილი ვგმინავდე ველად,
რაც რომ ვითმინე ისიცა კმარა,
დროა ვიბრძოლოთ დაუცხრომელად;
უმანკო სისხლი რაც დაიღვარა,
ეხლა კი კმარა უკანასკნელად,
აღარ შევდრკები, არა და არა,
მსურს მტერს ვეკვეთო ბალღამ-ნაღველად.

* * *

მე შევასრულებ ჩემს წმინდა ვალსა,
არ ვუღალატებ მე ჩემსა რწმენას;
ვიდრე არ ვნახავ თავისუფალსა
მუშას ტანჯულსა და ჩემს ქვეყანას
ვიბრძოლებ და არ გავიტეხ გულსა,
არ ჩავიკმენდავ ჩემს მეტყველ ენას
და მაინც ვიტყვი:—ზიზღი მტარვალსა,
ვაშა და ვაშა, მუშის მარჯვენას!..

**გრი—გრი**

* * *

შენი ხვედრია ალმაფრენა ციურ სივრცისკენ
და სილამაზე სულით, ხორცით შენია მცნება,
უარგიყვია ქვეყნიური ამაოება
და ვით შეგლახავს ადამიანთ ბილწი ცხოვრება!..
მაგრამ გწამდეს, რომ კაცი შენგნით უარ-ყოფილი,—
გულის სიღრმეში ეძიებდეს ღვთიურ ნაპერწკალს
და იმ ნაპერწკლის გაღვივება... მკვდრეთით აღდგენა. .
მხოლოდ და მხოლოდ შეუძლიან მშრომელ-მუშათ ძალს!..

**პეტრე დადვაძე.**

### ყურ-მოკრული საუბარი.

**ქალი.** როგორ... თქვენ ამბობთ, რომ ღვინო ქალებზე უფრო გიყვართ?..

**ვაჟი:** დიახ.

**ქალი.** მერე, რატომ?!

**ვაჟი.** იმიტომ, რომ ღვინო რამდენიც მოძველოა, იმდენი უფრო კარგი და სასიამოვნო სასმელია... მაგრამ საუბედუროთ ქალებზე კი ეს არ ითქმის!..

**ირ. გირგ.**

### მოწერილი ამბები

**ტფილისი.** ზოგიერთა „არტისტებს" და სახალხო სცენის მოყვარეებს საუცხოვო ხმა გამოსჩენიათ, ამიტომ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას გადაუწყვეტია ყველანი იტალიაში გაგზავნოს სიმღერის შესასწავლად. უსახსრობისა გამო ჯერ-ჯერობით იგზავნებიან: 1) საფაროვი (წრიპინ—ჩხავილა—კოლორატურა), 2) მატარაძე (ხავერდიანი—კონტრაბასი), 3) ჟივიძე (მიმიკური—ვალტორანი), 4) გოცირიძე (ტრაგ.-კომიკური ბარიტონალური—სოპრანო), 5) იორდანოვი (ბას—გაბოი) თვეში დაენიშნებათ სამი სამწვადე თხა, და სამი ტიკი კომშის ღვინო.

**წენგოს მურაბა**

**ბახმარო.** საზოგადო რესტორანში, ერთ ლაქიას სიცხისა გამო ნერვები აეფუშა და ორ სტუდენტს და სამ ბარიშნას, სამი ქოთანი,—მაწვნით სავსე, თავზე გადაამსხვრია. . ამბობენ ტვინის აცრის შემდეგ წოტათი მოკეთებულაო.

**კის—კის**

**მარტყოფი.** გასულ კვირას დიდი ნათლიობა გაიმართა. ნათლიები ქალაქიდან გვეწვიენ. ერთი რვა წლის ბავშვი სამმა ქალმა მონათლა: მარომ, ანომ, მარუსამ და ნინამ. ერთ ჯერობა ბავშვი ვეღარ შეიკავეს და ძირს ბრახვანი გასძვრა... შემდეგ ძალზე დაითვრენ და კუჩერს გვერდები მოულეწეს, ამბობენ არშიყობისთვისო. მაჭატა ქარმა მოიტაცა და დღესაც არ იციან სად არი. ერთმა ქალმა დიპლიპიტოთი ბანზე დიდებულად შეითამაშა მაშა!..

**შარვლის პუგიცა**

**სურამი.** მარტოთ ვართ მარტო ვიმღერით... გაუმარჯოს მიკიტნის დუქნებს, და თავადობას—მსუქნებს... ძირს სამკითხველო-შკოლა, — მაღლა, ბოთლების სროლა, ძირს ნასწავლების ფახი-ფუხი.

**დუხი**

**საჩხერე.** თვეში მხოლოდ 999 ჩამოხრჩობილსა და 333 დახვრეტილს მიიღებენ, ზედმეტ გამომგზავრებულებისთვის ადგილი არა გვაქვს, ვაკანსიები დაიხურა. სხვა მხრივ გაისტუმრეთ.

**იმე!**

**მანგლისი.** გედევანოვმა გამართა ქართული წარმოდგენა. „ჯერ დაიხოცნენ, და მერე დაქორწილდნენ" ხოლო ბ-ნ გულაზოვმა სომხურად „ბარბარე ინგლისში", ხალხი ბლომად დაესწრო. დაწვრილებით შემდეგ მოგწერთ.

**ნამდვილი**

**ოჟანე.** ჯერ-ჯერობით ლილიპუტების თამაშობა კარგა მიდის... ხოლო მოჭიდავე ქალები ვერ იზიდავენ მაყურებლებს... ოთხშაბათს საინტერესო ჭიდაობა იყო: იჭიდავა მარიცამ და თამარამ, პირველი ბოლგარია, და მეორე საქართველო. დიდხანს ძიძგილაობდენ... ხან ბოლგარია იყო ქვეშ და ხან საქართველო... ჭიდაობა გადაიდო... გუშინ წინ რევან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გავზარდეთ და რა გვიქნაო“! სასყიდელი არაფერი არ უნდა აიღო და საწყალი ოცდა ხუთ მანეთიან სტიპენდიისათვის უნდა მშიერ-მწყურვალე იყო და პირუტყვივით იმუშაო საქველმოქმედო მიზნით!!! ასეთივე აზრის არის ბ-ნი ყორანი, რომლის კორესპოდენციაც მოთავსებული იყო „დროების“ 16 აგვისტოს ნომერში. რასაკვირველია ეს მისი აზრია, მხოლოდ რაღა საჭირო იყო ფაქტების დამახინჯება და უდანაშაულო ადამიანის ტყუილ-უბრალოთ ჩირქის მოცხობა?..

ბ-ნ სარაჯიშვილს მე პირადათ არ ვიცნობ და მართალი რომ ვსთქვა სულაც არ მიზიდავს მისი საქციელი; მხოლოდ მე დამაინტერესა ამ კორესპოდენციამ ზოგიერთი რამ გავიგე ჩემი წინა აზრების დასატკიცებლად. კორესპოდენტის აზრით ბ-ნ სარაჯიშვილს, ვისაც არ უნდა ეთხოვა მისთვის ეს სულ ერთია, უნდა უფასოთ ემღერა და თავის ხარჯით მოსულიყო კისლოვოდსკიდან, დანიშნულ ადგილს. რასაკვირველია ბ-ნი ყორანი ამას არასოდეს არ იზამს და დარწმუნებულიც ვარ, რომ თვითონაც არ დაუდებდა ხელს სარაჯიშვილის ალაგას რომ ყოფილიყო. გარდა ამისა სარაჯიშვილს, როგორც გადმოგვცეს, პირველ განყოფილების შემდეგ მოუთხოვნია ფული და არა დაწყებისთანავე. და ესაც იმიტომ, რომ ყური მოუკრავს, ვითომ ფასის დაკლებას უპირებდნენ. რასაკვირველია ბ-ნი სარაჯიშვილი არ არის გასამტყუნარი, რადგანაც კარგათ იცოდა თუ როგორ მოექცეოდნენ, რომ წინდაწინვე არ აეღო და აი, იქავე მოხდა მშვენიერი მაგალითი. ბ-ნ აბაშიძეს, რომელიც მიემგზავრებოდა საკონცერტოთ, თანხმობა გამოუცხადებია გამგესათვის და უთქვამს, რომ 9-ში დეპეშით გაცნობებთო. ფასი გადაწყვეტით არ უთქვამს, რადგანაც შემოსავალზე იქნებოდა დამოკიდებული. თუ არაფერი დარჩა, რა სვინდისი მომცემს, რომ ავიღოვო და თუ დარჩა 25 მანეთ ნაკლებს არ ავიღებო. 8-ს დილით დეპეშით უცნობებია ქ-ნ გამგისათვის სადგურ ვარვარინოზე, კონცერტის შემდეგ გზის ფულიც კი არ მისცეს. ამისთანა მაგალითები ბევრი მაქვს ჩამოვყვები, ამაში ბ-ნი ყორანიც დამეთანხმება, რომ ბ-ნი სარაჯიშვილი გვარიანათ მოქცეული. და მერე რა იყო აქ ისეთი სათათხსალანძღავი, როგორც ამას სწერს ბ-ნი ყორანი. რაც შეეხება ბ-ნ ფალიაშვილს ეს ადგილი კორესპოდენციის სწორედ პატარა ბავშვის ტიტინსა გავს... ნამდვილი გოტენტოტისებური ლოღიკაა: „შენ სპეციალისტი არა ხარ, სტუდენტი ხარ—ე. ი. დაბალი ლობე, დაიცა გადაგახტეო“. აბა რომელი ქართველი ნახა ბ-ნმა ყორანმა სპეციალისტი? განა არა სპეციალისტმა (იქნება სწავლა დამთავრებულებს სპეციალისტს ეძახის?) მუქთად უნდა იაროს და იმუშაოს? თითონ ყორანი კი სპეციალისტი კორესპოდენტია? არა, რადგანაც ორი სამი თუ მოიძებნება სპეციალისტი! მაშ რაღა მოუვიდა ბ-ნ ყორანს? არაფერი!.. მას ისეთივე სენი სჭირს, რაც ქართველ საზოგადოებას!.. მას სურს, რომ ყველაფერი უფასოთ უკეთდებოდეს და თვითონ კი სტკბებოდეს...

**ონოფრე.**

## „საგარაკოდ“.

(აგარაკიდან დაბრუნებულის მოგონება)

„ბორჯომი... კოჯორი... მცხეთა... სურამი... სოფელი... ქაჯეთი...“

თითქოს განაგრძობს ცოლთან წუხანდელ ჩხუბსო, ხმამაღლა და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ბოდავდა ქვემო სართულში მძინარე ჩაგრულაძე და ოფლით გაწუწული აქეთ-იქით აწყვეტდა თავსა დანჯღრეულ რკინის კრაოტზედ. თან განუწყვეტლივ ატკაპუნებდა ტუჩებს, თითქოს რაღაცას ხარბათ სვამს და ვერ გამძღარაო. ვიწრო ოთახის ერთათ ერთი ფანჯარა ღია იყო, მაგრამ მაინც ძალზე ცხელოდა; სახატეზედ მბჟუტავი პატარა ლამპარი ოდნავ ანათებდა ოთახს და ძნელად თუ გაარჩევდით, რომ კუთხეში მიდგმული მეორე საწოლი ცარიელი იყო. მისი პატრონი, ჩაგრულაძის ცოლი ნატო, პირდაპირ იატაკზედ იწვა ან, უკეთ რომ ვთქვათ, გორავდა, რადგანაც სიცხისაგან აღარ ესვენებოდა.

რახარუხით გაირბინა მატარებელმა და მაზუთის კომლით უარესათ მოშხამა გარინდული ჰაერი. სადღაც შორს, ვიღაცა მთვრალი ვითომ მღეროდა, მაგრამ ჩახრინწული ხმა აღარ ემორჩილებოდა და გულშემზარად ღრიალებდა. იქიდგანვე მოისმა ხანგრძლივი სტვენა. ალბათ პოლიციელი თუ მეეზოვე ამხანაგებს იწვევდა წესრიგის აღსადგენათ. ბუტბუტით გამოიარა ღამის მაწანწალამ, შეჩერდა და საჩქაროთ დაათვალიერა ოთახი, გამოსარჩენი ხომ არ მოიპოვება რაო, და როცა დარწმუნდა, რომ ტყუილად კარგავდა დროს, გადიხარხარა და გინებით გაუდგა გზასა. მახლობელ სახლის სახურავზე კატები გაცხარებით ჩხუბობდნენ და სასოწარკვეთილ ჩხავილით თავ პირს აღადრიდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ჩაგრულაძეს არა ესმოდა რა. ის მხოლოდ ტუკდა და გამშრალ ენით ტუჩებს ილოკდა. მაგრამ როცა წუთით ყველაფერი მიწყნარდა, უცებ შეინძრა, წამოდგა და თვალებ დახუჭულმა ბარბაცით გასწია სასადილო (იგივე სასტუმრო) ოთახისკენ, სადაც წყლიანი დოქი ეგულებოდა. ტუჩების ცმაცუნს უმატა, აი კიდევაც მიუახლოვდა მიზანს. საცაა ხელს წაავლებს—და მოულოდნელათ ფეხი წამოჰკრა სკამსა. სკამი რახუნით წაიქცა. წაბორძიკებულმა ჩაგრულაძემ ვითომ კიდეც მიაშველა ხელი და ნამდვილად კი საფანჯრეზედ სანატრელი დოქი წააყირავა. დოქი ფანჯარას ეცა და მინის ნამტვრევები წკრიალით გადმოცვივდა.

— უიმე, მიშველეთ!—დაიწივლა ნატომ და ელვის სისწრაფით საბანში გაეხვია თავის კრაოტზედ. ჩაგრულაძე უკვე საწოლ ოთახის კარებში იდგა დარცხვენილი. ორივეს ელვიძათ და ერთმანეთს სინჯავდნენ პირველი შეურაცხყოფილი ღვთაების, ხოლო მეორე მძიმე დამნაშავის თვალებით.

— არა გრცხვენია, შე უსინიდისო!? ტფილისში მხარშამ მთელი ზაფხული და თან კიდევ ძილსა არ მაძლევ, შეშლილივით იკლებ აქაურობას,—სასოწარკვეთილად შეუტია ნატომ ქმარს.

— რა ვქნა, გენაცვა, ნატოჯან, თუ სააგარაკოთ გაგზავნა არ შემიძლიან, შენც უნდა მომითმინო,—ტკბილად დაუყვავა ჩაგრულაძემ და თავის საწოლისკენ გაეშურა, რომ თავი მოემძინარებინა და ეგების გაეჩუმებინა ატეხილი ტოლი, რომელიც აგერ მთელი თვეა ებრძვის აგარაკის შესახებ.

— ულმერთო, ურწმუნო, ურჯულო, მტარვალო, მხეცო, შეუბრალებელო, უსირცხვილო, უნამუსო, შხამო, რეგვენო,—მიაყარა ცოლმა და სანამ ჩაგრულაძე საწოლამდინ მიაღწევდა, ნატო უკვე ფეხზე ადგა:—შვილები არც კი გავაჩინე, რომ მეტი ხარჯი არ მოგსვლოდა, და შენ კი ამ პაპანაქებას ქალაქში მატარებინებ!? შენთან სინიდისი არ გადის... მაშ ახლა კი გიბრძანებ, ჩქარა ჩაიცვი და წამიყვანე... ჩაიცვიმეთქი!?

მთელი ძალ ღონით დაიღრიალა და თითონ უკვე იცვამდა.

თითქოს სახლს ოთხივ მხრივ ცეცხლი წაეკიდაო, ჩაგრულაძემ თვალის დახამხამებაზე ჩაიცვა, რაც კი ხელთ მოჰხვდა და გიჟივით გამოვარდა სასადილო ოთახში, სადაც ქუდი ეკიდა, გაიხურა კარები და საჩქაროდ აანთო ლამპა.

ნატო კი გამოსვლას იგვიანებდა.

— ალბათ თეთრად ილესება,—გაიფიქრა ჩაგრულაძემ და რადგანაც ხმაურობა მიწყნარდა, რამოდენადმე გულდასმით შეუდგა მწარე კითხვების გამოკვლევას.

— სად, რითი, როგორ წავიყვანო ეს აფთარი?—ხელების მტვრევით ეკითხებოდა თავს ჩაგრულაძე და ვერავითარი სახსარი ვერ გამოენახა. მრავალტანჯული სამი თუმანი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში რის ყოფით გადაანარჩუნა ჩაგრულაძემ ფლანგვის მოყვარულ ცოლის უჩუმრათ და მის ყოველ შემთხვევისათვის, საიმედო ავლა-დიდებას შეადგენდა, უკვე აღარ არსებობდა. ნატოსგან ნაწყენმა სახლის პატრონის ცოლმა მოულოდნელათ მოითხოვა ბინის სამი თვის ქირა და ჩაგრულაძე იძულებული გახდა გამოსალმებოდა შავი დღის ნუგეშს. ამის მოგონებაზე ჩაგრულაძეს უნებლივ ჩაეკეცა მუხლები და ის გონება-მიხდილი დაეშვა მახლობელ სკამზედ. საც ა მორთული ცოლი გამოვა სააგარაკოთ გასაფრენათ და იმას კი სულ ოთხი მანეთი და რაღაცა კიდევ წვლილი გააჩნია.

— სად წახვალ ამ ქონებით?... ვერსად... დღეს ამ თვის ხუთმეტია.. ჯამაგირის აღებამდე დარჩა ხუთი დღე... მერე?.. ოთხი თუმანი.. აგარაკში მივცე... ნატოს დავუტოვო სახარჯოთ... მეფურნეს გავუსწორდე... მე აქ ვიცხოვრო... რომელი ერთი გავაკეთი საცოდავი ოთხი თუმნით!? სახლის ქირასაც საცაა მომთხოვენ... არ წავიყვანო არ იზამს... ისეთ ადგილას მაინც წავიდეს, რომ მატარებელი უდგებოდეს... ბილეთი მაინც, როგორც რკინის გზის მოსამსახურეს, უფასო მექნება... ვერ კი მოვასწარი...

ამ ფიქრებში იყო გართული ჩაგრულაძე როცა ცოლის გამოსვლის მოლოდინში ჩასთვლიმა.

— მხოლოდ ერთი წუთით,—გაუელვა აზრში დუნეთ, თავი მაგიდაზე ჩაჰქინდრა—და უკვე მზე მაღლა იდგა, როცა საშინაოთ ჩაცმულმა ცოლმა გამოაღვიძა. ქმრის უსიტყვო მორჩილებით ნასიამოვნები ნატო არამც თუ მაშინათვე დაწვა, როცა ქმარი საწოლიდან გამოაძევა, ახლა როგორღაც არა-ჩვეულებრივ სიბრალულით და გულ-დამჯდარი აღვიძებდა მას.

— ადექ, ადამიანო, ადე! გული ნუ გისკდება. ფულს არ დაგახარჯინებ... კიდე მებრალები... არც გზის ხარჯი, არც შესახანი. ისეთაც კარგათ ვიცხოვრებ აგარაკზე...

— ჰმ! დაიზმუკუნა ჩაგრულაძემ და კითხვის ნიშნათ გადაქცეული უგონოთ ჩააშტერდა ნატოს, თითქოს ეშინოდა, ძილში მესმის ეს სანატრელი სიტყვები და თვალების დახამხამებით არ გამომეღვიძოსო.

— გაგიხარდა განა მუქთა კუბო?!. ვიცი, კაცო, შენი ხასიათი. ოღონდ ფული არ დაგახარჯინონ და... მაგრამ იმ პირობით კი გადაგარჩენ ხარჯს, რომ არ გამცე, სადა ვარ... დეე, ყველას ეგონოს, ყველგან ისე თქვი, რომ აბასთუმანში წავედი... კრინტი, გესმის, ერთი ხმა არ წამოგცდეს საცა ვიქნები!.. მე კი დედაჩემთან წავალ.

— სად, რომელ დედასთან?! თითქოს მართლა გაღვიძების შიშით ჩუმათ და სულელურათ შეეკითხა ჩაგრულაძე ცოლსა. თუმცა დარწმუნებით იცოდა, რომ ნატოს ერთიღა დედა ჰყავდა:—აქ!?. თბილისში?!. ნაძალადევში!?. ე გაღმა ნახალოვკაში!?. იქ განა სიცხე...

— დიახ, ნახალოვკაში,—სიტყვა არ დაამთავრებინა ცოლმა და ბრაზისგან კინაღამ დაამტვრია ჩაის ჭიქა, რომელიც ხელში ეჭირა გასარეცხათ, რომ მისი ქმარი ასეთი მიუხვედრელია:—ნახალოვკაში, სწორეთ ნახალოვკაში... რითი ვერ გაგიგია, ადამიანო, რომ ნახალოვკაში კი არა, ჯანაბაში წასვლა სჯობიან აქ დარჩენას. განა მცხელა მარტო!.. აბა სად არ ცხელა ამ ზაფხულში? მაგრამ მრცხვენია... მრცხვენია... სირცხვილი მწვავს... შენ კი არც თავმოყვარეობა იცი არც სირცხვილი... აბა როცა დაბრუნდებიან და გაიგებენ, რომ მთელი ზაფხული აქ ვიყავი, რას იტყვიან, ვერა ნიკოლაევნა, გიორგიანთ დარო, კოჭლი მაიკო, ცეცხლაძენი, გოგიტაშვილი და სხვები?.. ხომ ყელი გამომჭრა!. საწყლები, გაჭირვებული, გაუნათლებელნი არიანო და ვინ იცის, როგორ გაგვლექსამენ... გახურებულ თონეში, ჯოჯოხეთში წავალ, კარებს ჩავიკეტამ, ძეხორციელს არ ვეჩვენები, ოღონდ აქ ვერ დავრჩები და აბასთუმანში წასული ვეგონო ნაცნობებს...

— ჰო-ო-ო!?!

ძლივს ამოისუნთქა ჩაგრულაძემ და გაბედულად დაახამხამა თვალები. ახლა კი ეჭვი არ ჰქონდა რომ ეღვიძა.

საღამოს ხშირი ბინდი იყო, როცა ნატო სხვა და სხვა ბარგით ავლაბრიდან ნახალოვკაში მიემგზავრებოდა... „საგარაკოდ“.

**ახელი.**

## კმარა სიცრუე!

(ბ. ბურჯანაძის წერილების გამო იხ. „ივერია“ №№ 26, 27, 28 და 29)

3 ноября 1908 г. Москва.

Уважаемый Варламъ Амирановичъ!

Я неоднократно молучалъ посьма изъ Кутаиса съ просьбой разоблачить пущенныя Вами сообщенія о полученныхъ отъ меня письмахъ со страннымъ для меня содержаніемъ. будучи очень занятъ и не желая вмѣстѣ съ тѣмъ вмѣшиваться въ совершенно чуждую и непонятную для меня исторію, я на письма эти не отвѣчалъ. Нѣсколько разъ были также и лично. Наконецъ, сегодня явился одинъ студентъ съ писмомъ отъ г. Абзіанидзе, гдѣ опять таки говоритъ объ этихъ слухахъ, распространяемыхъ Вами. Поэтому я Васъ убѣдительно прошу, если таковые слухи, дѣйствительно вами были распространяемы, опровергнуть ихъ для того, чтобы окончательно возстановить истину и выпутать мое имя изъ всей этой исторіи.

Левъ Гимбургъ.

S. P. Письмо это посилается мною г. Абзіанидзе для передачи Вамъ.

Л. Гинцбургъ

ნუ თუ ამის შემდეგ კიდევ საჭიროა ან ახალი სასამართლო, ან ნიკო მესხის ჩვენება, ან ყოფილი სასამართლოს განაჩენი? განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ არავითარი „დანოსი“ ქუთაისიდან მოსკოვში არ მისულა, არავითარი წერილი გინცბურგს ბურჯანაძისათვის არ მიუწერია და ყველა ეს მხოლოდ ბურჯანაძის სამარცხვინო ოინები იყო თავის ასამაღლებლათ? ამის შემდეგ ბატონი ბურჯანაძე კიდევ ბედავს თავის მართლებას და თავის სამარცხვინო წერილში სხვის პატიოსნებას და სინდისს ეხება. შემდეგ ჩამოთვლილი აქვს ბურჯანაძეს, რომ ნიკო მესხმა ესა და ეს ჩაიდინაო, ნიკო აბზიანიძეს ესა და ეს ბრალდებოდაო. თანაც თვითონ იძლევა კითხვას: „მართალია ყველა ეს თუ არაო?“ და თვითონვე ადასტურებს: „მართალია“ აი რა გვარი საბუთებით უნდა ფონს გავიდეს ბ. ბურჯანაძე. მას ყალბი წერილების შედგენა დაუმტკიცდა და იგი კი ჩვენს დამცირებას სცდილობს საზოგადოების თვალში და თავის მართლების მაგიერათ კორპორაციის ისტორიას

---

ში იყო... საქართველომ გაიმარჯვა და დასცა ბოლგარია (ვაიმე)... ამბობენ: მოჭიდავე ქალთა „ოფლმა“ ქართული სცენა ლამის არის დაალპოსო. ხალხი პირველ გასტროლზედა—ღორდაზე ეყარა, შემდეგ კი აფუ მოუვიდათ.

**კვერცხი.**

**კოჯორი.** არ ვიცი, როგორ მოხდა, გუშინ წინ, კოჯორში მიმავალი ავტომობილი ერთბაშათ კამეჩს დაეტაკა... ვატმანმა ვეღარ შეიკავა... ოქროყანის ხევში გადიჩეხა... და სულ ნაფლეთ-ნაფლეთათ იქცა. არავინ დაშავებულა...

**დედის ერთა, იოთამი.**

## ე ქ ს პ რ ო მ ტ ი

(ელო ც—ს)

ნუ, ნუ გგონია, ვითომც მე მარ, კან—ს
წრფელად ვუყვარდე, მეც ვცემდე თაყვანს,
შენი ვარ შენი, სულზედ უტკბესო...
ყურს ნუ ათხოვებ უვიცთა ყაყანს!...

**ტიმოთეს ლელვი**

## გ ა მ ო ც ა ნ ა

ლამაზია... დიდ-ცხვირაა
და თმები აქვს კოხტა—„რიჟა“,
მის სიტურფემ, ბევრს თვალები
დაუბრიცა... გააგიჟა!..
სულ არშიყობს... გადასთელა
სალაბუცო პარკის „ბირჟა“,—
საყვარლად ჰყავ აყლაყუდა,
ალი-ბალი ყული-მირზა!..
ეჯავრება მუშა-ხალხი...
და ერთხელაც მის გულიზა
იმოტოლა ბრიგეს-სდრიკეს,—
ავათ გახდა ჩვენი ლიზა.

**ვ. ქიათურელი.**

* *
*

**ბურჟუა** (პოლიციელს). აბა გამარტყი?! **პოლიციელი.** (სილას სტკიცავს). ემენდე თუ ვერა!

**ბურჟუა.** ოჰიმე, მწვავე ყოფილა... ეხლა კი მეც პიროვნების ხელ-შეუხებლობას მოვითხოვ.

**ქ. გულიაშვილი.**

## შ ა რ ა დ ა

პირველი ერთი სიტყვაა
ერთი ცხოველის სახელი,
ხოვერში არის ჩამჯდარი
სულ უკან უკან წამსვლელი.
მას შემდეგ ორი ასოა
ხშირადა ხმარობს რაჭველი;
მოფერების დროს გამოსთქვამს
რაცა რამე აქვს სათქმელი,—
სულ ყველა ერთად კაცსა აქვს
ხელი არ მოეკიდება
დაგჭირდეს ვერცა იშოვი
და არცა გაიყიდება,
იმის ძვირს მაშინ გამოსთქვამ
როდესაც რომ მოგშივდება!*)

**რაჭველი შურდული.**

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

**სხირტლაძე** (კასაში მჯდომ ქალს) ბევრი დარჩა ბილეთები?

**ქალი.** ჯერ ორი და შვიდი შაური მივაჰრია!..

**სხირტ.** რას ამბობთ, თეატრი სავსეა ხალხით?!.

**ქალი.** მომეტებული ნაწილი „რეცენზენტები“ სხედან.

**სხირტ.** ?!...

***

**მაშა.** წავიდეთ ბანკის ბაღში თიკო!

**თიკო.** რა გავაკეთო?.. საინტერესო არაფერია!

**მაშა.** როგორ, შენ გათხოვებაზე არა ფიქრობ თუ?!.

**თიკო.** მაშ ორ წუთს მომიცადე მაროც წამოვიყვანო!..

*) კუჰი.

* *
*

**სცენარიუსი.** ჩქარა კაცო, შენი გამოსვლის დროა...

**მსახიობი.** თუ ძმა ხარ სხვა გაუშვი... ჯერ ღვინო დამრჩა დასალევი!..

**მხიარული მკვდარი**

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

I

„ზინგერთან“ ვიყავ
შევყლაპე „ფული“,
ცოლმაც გამაგდო
მოუკვდეს გული,—
ეხლა „მარუსამ“
გამომიჩინა
საკანდიტეროს
ლამაზი „ზინა“!

II

შურ-ღვარძლით გული
გაჟღენთილი მაქვს,
ლანძღვის გიდორი
ყველგან თან დამაქვს!..

III

მუდამ ვარშიყობ
„ოსინკას“ ვწყალობ,
გიტარას ვანჯღრევ
ვუმღერ და ვგალობ,
მუშტარს უცინი
ხაზენის ვბრალობ,
ყველა ბალებში
„მ—ასთან „ვყიალობ“!

IV

გირჩევ დაწყნარდე,
მოხვიდე გონსა,
რაც გინდ იტლინკო
ვერ გახვალ ფონსა.

**გრი—გრი**

## „წკიპურტის“ ფოსტა

**გამოჩეკილს.** თქვენი პოემა „ვირი“ არ დაიბეჭდება, მართლაც, რომ გამოჩეკილი პოეტი თუ დასწერს ამისთანა მარგალიტებს:

„მთვარე ამოდის და მზე ჩადის...
უჰ რა კარგია!..
გაღმა-გამოღმა ვირი დადის!
დიდებულია!

საუბედუროთ თავიდან ბოლომდის გადავიკითხე თქვენი პოემა და მხოლოდ ერთ რამეში გემჩნევათ ნიჭი: ვირის ფსიხოლოგია ზედმიწევნით შეგისწავლიათ...იწერებით: თუ შეიძლებოდეს უცვლელად დამიბეჭდეო... დაბეჭვდისა რა მოგახსენოთ და უცვლელათ კი გადუძახეთ ნაგვის გოდორში.

**დარდს.** იწერებით:

„როც გუშინ ვიყავ დღეს ის არა ვარ:
გუშინ კაცი ვიყავ დღეს მასხარა ვარ.
ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**მინდა** გათხოვება. ფულათ მაქვს არა ნაკლებ ათასი მანეთი. ვიცი ზრდილობიანი არშიყობა, და შნოიანი „კნიკსი“. ჩაცმადახურვაში, სმა-ჭამაში ბადალი არა მყავს, სულ ვიცინი*)... ძაან მხიარული ვარ. სახით თუმცა... მართალია მიმზიდველი არა ვარ... „ცხვირი ოსურ სახნის“ მიმგავს მაგრამ... ამით ვგონებ არა მიშავს-რა... ცხვირი რა შუაშია?!. მხოლოდ უნდა იყოს ან სტუდენტი, ან პოეტი, ან ბულოჩნიკი, ან სტამბის პატრონი, ან საპოჟნიკი და ან აქტიორი...

ადრესი: იუგანეს ბაღი (ჰკითხეთ ყველა გასათხოვარ ქალებს) **მ. „კურტუმაძე“.**

*) იცინე სანამ არ შეგირთო.

ასოთ.-ამწ.

**რედ.-გამომც. ფირუზ წკიპურტაძე**

და მის მნიშვნელობას აგვიწერს, რასაკვირველია მკითხველის თვალის ახვევათ. „მართალია თუ არა რომ, 1907 წელს ნ. მესხი გაასამართლა კორპორაციამ თვითმართველობის პრინციპის ღალატისათვისო და ოქმი გასამართლებისა დასწერა აბზიანიძემო?“ კორპორაციის მონდობილობით რომ ოქმი დავწერე, ეგ მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ არავითარ თვითმართველობის პრინციპის ღალატის შესახებ არ ყოფილა ლაპარაკი მესხის გასამართლების დროს. მერე ვინ იყო ბრალმდებელი ამ გასამართლებაში? თვით ბ. ბურჯენაძე. დაესწრო ნ. მესხი ამ გასამართლებას? არ დასწრებია. რა ბრალდებები წამოაყენა ბურჯენაძემ მესხის წინააღმდეგ? ნიკო მესხი ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიის წინ ინსპექტორს ელაპარაკებოდაო, ქალაქის თავის მონდობილობით დირექტორს მოლაპარაკებია იმ ორი ათასი მანეთის შესახებ, რომელსაც მთავრობა პირდებოდა ქალაქის გამგეობას ახალი შკოლების დასაარსებლათო და სხვა. რა უნდოდა ამით ბურჯენაძეს? მესხის სამსახურიდან გაძევება და მისი ადგილის ხელში ჩაგდება, მაგრამ ამ პირველმა ცდამ ამაოთ ჩაუარა, ვინაიდგან გამოუცდელობის გამო სულ ტი ბრალდებების წამოყენება შეექნა ბ. ბურჯენაძეს მესხის წინააღმდეგ. გამოცდილება ცუდკაცობაშიც საჭიროა. „ტყუილად ფიქრობთ ბ. აბზიანიძე, რომ კომისიის გამოძიება გათავდებოდა თქვენ სასარგებლოთ და ჩემს საზარალოთო“, ქვევით კი სწერს: „ვნახოთ რა საპრიანო რამ გამოარკვია და თუ არ გამოურკვევია უნდა გამოერკვია (დროთაარებაც ასეთი უნდა) კომისიასო.“ როგორც მკითხველი ხედავს, ჯერ არავითარი დასკვნები არ გამოუქვეყნებია კომისიას, ბურჯენაძე კი წინდაწინვე ინუგეშებს თავს და კომისიის წევრებს უკარნახებს—აი რა უნდა გამოარკვიოს კომისიამო—„იმედიანი სიმშილიც კირგიაო“ ნათქვამია. „ნიკო აბზიანიძეს ესა და ეს ბრალდებოდა ამ რამდენიმე წლის წინეთო“. ვერ ბედავს ბ. ბურჯენაძე სთქვას თუ როდის. ის ჭორებზე და ცილის წამებაზე აგებული ისტორია, რომელსაც ასე სიამოვნებით მოგვითხრობთ თქვენ ბ. ბურჯენაძევ, მოხდა 1900 წელში და დირექტორმა გააბათილა იგი თუ ინსპექტორმა საქმისთვის ეგ სულ ერთია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მაშინ თქვენ არამც თუ ყურმოჭრილი მონა ბრძანდებოდით დირექტორის, არამედ „მუნჯური მეთოდის“ ერთ ერთ საუკეთესო გამავრცელებლათ ითვლებოდი ბაღდათის რაიონში. ჩვენ შკოლაშიც არა ერთხელ მიგიციათ „მუნჯური მეთოდით“ სანიმუშო გაკვეთილი. რა ბრალი ედებოდა მასო? დანოსის დაწერა „კოლეგიაზეო“. ვერც ამ „კოლეგიის“ ვინაობის გამომჟღავნებას ბედავს ბ. ბურჯენაძე, რადგანაც 1906 წ. „კოლეგას“ კაი მოზრდილი „სახელიანი“ საჩივარი შეუტანა ქალაქის გამგეობაში. მე და მღვდელს ნ. გიორგაძეს მთელი ერთი კვირა დაგვდევდა და გვეუბნებოდა გინდათ თუ არა ხელი მოაწერეთ საჩივარზეო. აბა ვნახოთ ბ. ბურჯენაძე, რომელი კომისია გაამართლებს თქვენს იმედებს და გამოაქვეყნებს, რომ აბზიანიძე „მედანოსეაო“, ან და მიმითითეთ ვინ ან როდის (წერილობით თუ არა სიტყვიერათ მაინც) მიწოდა მე „მედანოსე“. დახეთ, ბურჯენაძე ვალდებულათ მხდის თავი ვიმართლო იმაში, რაც ჩემს ზურგს უკან ხდება—„გულთ-მისნობას“ მოითხოვს ჩემგან. „დანოსების“ და ყალბი წერილების წერაში ვინ ყოფილა დახელოვნებული ეგ დღეს ყველასათვის ცხადია. „გაკოტრებული ურია ძველ თამასუქებს ეძებდაო“, ნათქვამია, მაგრამ ვაი თუ იმ ძველ თამასუქების ძებნაში, ბ. ბურჯენაძევ, თქვენი დასაკლავი დანა გამოჩხრიკოთ, მაგრამ თქვენ ახლა ისეთ მდგომარეობაში ხართ, რომ თავნიდან მაინც და მაინც ბევრს არაფერს წააგებთ. „შეიძლება, რომ თვითმართველობის პრინციპის გამთელელმა ატაროს სახელი თვითმართველობის შკოლის მასწავლებლისო?“ არავითარი პრინციპი თვითმართველობის მე არ გამითელია, ბ. ბურჯენაძევ, ეგ თქვენც კარგათ იცით. მე გავთელე მაშინ უსამართლობა, ძალმომრეობის პრინციპი და კვლავაც სიამოვნებით გავთელავ, თუ კი შემთხვევა მომცემს და ნურას უკაცრავათ თუ უსამართლოთ შეურაცყოფა არავის ვაპატიო, განსაკუთრებით კი თქვენისთანა ზნეობის და პატიოსნების პატრონს. დამშვიდდით, თვითმართველობა თავის პრინციპებს არავის გაათელვინებს უსაბუთოდ. მაგისთანა ზღაპრები თქვენს გულუბრყვილო მედიატორეებს ელაპარაკეთ. „ქალაქის პირველ-დაწყებით მასწავლებელთა კორპორაცია მართლა წარმოადგენდა ერთ დროს ნამდვილ ციხეს, ეს დრო 1904, 1905, 1906 წლები და 1907 წლის პირველი ნახევარიო“. 1907 წლის მეორე ნახევარის ხსენებას ვეღარ ბედავს ბ. ბურჯენაძე. რატომ? იმიტომ რომ ამ დროიდგან (ესე იგი 1907 წლ. ივნისიდან, როდესაც იგი მოსკოვში გიახლათ თვითმართველობის ხარჯით) იწყება მისი სამარცხვინო ოინები: ყალბი წერილების ისტორია, ამხანაგის და კორპორაციის ღალატი, სინდისზე და პატიოსნებაზე ხელის აღება, ცრუ ხმების გავრცელება მოსკოვის „დანოსის“ შესახებ და ბევრი კიდევ სხვა რამ, რასაც შედეგათ მოჰყვა სრული დეზორგანიზაცია ჩვენი კორპორაციისა, ვინაიდგან ბ. ბურჯენაძის წყალობით კორპორაციამ ვერ შესძლო ჩემი კანდიდატურის დაცვა გამგის ადგილზე 1908 წ. და კომისიამ უფლება წაართვა კორპორაციას მასწავლებლის არჩევისა. მაშ ვინ ყოფილა ჭეშმარიტი დეზორგანიზატორი კორპორაციისა? თვით ბურჯენაძე. რატომ? იმიტომ რომ დეზორგანიზაცია მოჰყვა მის მიერ ჩადენილ სამარცხვინო ოინების გამომჟღავნებას. რა უფლების დაცვა შეეძლო კორპორაციას იმის შემდეგ როდესაც მის (კორპორაციის) ბელადს, როგორც ბურჯენაძე უწოდებს თავის თავს, ამისთანა სიყალბე აღმოჩნდა?

ქვევით ეს ვაჟბატონი, აღნიშნავს რა კორპორაციის მოქმედებას, დასძენს: 1. „კორპორაციის მეცადინეობით მასწავლებლებს ჯამაგირები მოემატათო„. კორპორაცია არ ყოფილა ბ. ბურჯენაძევ, 1901 წელში, მაგრამ თვითმართველობამ ოთხის მანეთიანი ჯამაგირი ექვსას მანეთად გაუხადა მასწავლებლებს (შეიძლება თქვენ გგონიათ ესეც თქვენის წყალობით მოხდა).

2) „ამავე 1905 წ. კორპორაციამ მოაწყო სანიმუშო გაკვეთილებიო,“ რომლებზედაც თავი ისახელა ბურჯენაძემ თავისი ყოვლად უვარგის გაკვეთილით (გაკვეთილის გარჩევის ოქმი დასწერა მასწავლებელმა ა. ლორთქიფანიძემ).

3) „1907 წლის ენკენისთვიდან, მან (კორპორაციამ) მოინდომა თავისი წრის გაფართოვება, რისთვისაც მოიწვიეს კრებაზე ქალაქში არსებული სხვა და სხვა სასწავლებლის მასწავლებელნი, კრება ორჯერ იყო დანიშნული, საუბედუროთ ორთავე კრებაზე მოწვეულმა მასწავლებლებმა ეგრეთ წოდებული ლამაზი „ობსტრუქცია“ გააკეთესო.“ კარგი და პატიოსანი ბ. ბურჯენაძევ, მაგრამ ამ კრებას ხომ არც ერთი თქვენ მიერ დეზორგანიზატორის სახელით მონათლული პირი, გარდა ერთისა, არ დასწრებია? მაშ როგორ მოხდა ეს? ამას ისიც დაუმატოთ, რომ არავის არავითარი „ობსტრუქცია“ არ მოუხდენია: პირველი კრება გადაიდვა და მეორეზე არავინ ისურვა მოსვლა (მიზეზი თვით ბურჯენაძეს ეცოდინება). განა ეს ცილისწამება არ არის ქალაქში არსებულ სხვა და სხვა სასწავლებლების მასწავლებელთა მიმართ!

„ნიკო აბზანიძეს 836 მან. აქვს ჯამაგირიო“ და გულისწყრომით დასძენს: „5 წლის შემდეგ 936 მან. ექნებაო.“ თქვენ რა წითელი კვერცხი ბრძანდებით, ბ. ბურჯენაძევ, რომ დღემდის 900 მანეთი გქონდათ ჯამაგირი და ენკენისთვიდან კი 1000 მან. გექნებოდათ, რომ თქვენი ოინები არ გამომჟღავნებულიყო? თქვენ ისეთ დაწვრილმანების გზას დადგომიხართ, რომ მალე მგონი ჩვენს ოჯახებში შემოიჭრებით და დაიწყებთ გამოქვეყნებას, თუ რა გვაქვს დღეს სადილათ ლობიო თუ სუკის მწვადი. ამის ნიშნები უკვე იყო „სალამურში“ სადაც თქვენი არამკითხე ვექილი (პრესის „ძმა-ბიჭი“ როგორც ბ. ტ. ართმელაძემ უწოდა) სწერს: „ამა და ამ მასწავლებელს ჭყლინტი ყველი და კვერცხები ყვარებიაო, ესა და ეს მასწავლებელი „ბიბილეიშვილის“ რესტორანში სადილობსო“ და სხვა. თქვენ რომელ „სასტუმროში“ მიირთმევით სადილი, ბ. ბურჯენაძევ, თქვენი ხუთიოდე თაყვანისმცემლებთან ერთაო? განა იმავ „ბიბილეიშვილის“ რესტორანში არ შესხით ქება გუგულ-მამალივით ერთმანეთს?—კაი ბიჭი ხარ ვარლამ! უკეთესი ხარ მეთოდეო!“ გრცხვენოდეთ, მაგრამ რას ვამბობ? ბურჯენაძე და სირცხვილი?! ქვევით ბურჯენაძეს მოჰყავს თავის წერილში, თუ რა შედეგი მოყვა რეაქციას, რომელიც არა თუ მარტო შკოლებში, მედ მთელ იმპერიაში გამეფდა, თუმცა, როგორც მკითხველი ხედავს, ბ. ბურჯენაძე ბევრს ცდილა რეაქციის შესაჩერებლად. „კორპორაცია მოიბლუნკაო“ კომისია „слушаюсь“ გასძახოდა მტერსო“ და სხვა. თქვენ გმირობას, ბ. ბურჯენაძევ, ქვევით დაინახავს მკითხველი, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეგ მიბრძანეთ: იღებდით თუ არა თქვენც ამ მობლუნკვაში და „слушаюсь“ ძახილში მონაწილეობას? თუ არ იღებდით და თანახმა არ იყავით, რატომ დღემდის არ ამოიღეთ ხმა, რატომ დღემდის არ განაცხადეთ პროტესტი? დღეს თუ გაზეთის ფურცლებზედ ყურები გამოგვიჭედეთ, აქნობამდის რატომ ერთი კრინტიც არ დასძარით და არ აღამაღლეთ თქვენი რიხიანი ხმა. მას შემდეგ, რაც გამგის ადგილი გაიძვერობით ჩაიგდეთ ხელში. ბრძოლა კორპორაციის მხრივ რაღა საჭირო იყო? ყველაზე მეტათ თქვენ მოიბლუნკეთ, ფეხქვეშ ეგებოდით ყველას, წარმოიდგინეთ დირექციასაც კი, რათა გამგის ადგილი შეგენარჩუნებინათ, ამის დასამტკიცებლათ ისიც კმარა, რომ შკოლის კურთხევის დღეს დირექტორ-ინსპექტორები მოიწვიეთ და ქება-დიდება შეასხით მას. „მე კი არა კომისიამ მოიწვიაო“, იმართლებს თავს ბურჯენიძე. მერე თქვენი გმირობა ან პროტესტი მაინც სადა? ქება დიდება რაღათ უძღვენით მაინც. განა ეს მობლუნკვაზე მეტი არარის. მობლუნკულია ადამიანი სდუმს, გაჩუმებულია, თქვენ კი თავაღერილი ეუბნებოდით ბიუროკრატიის მოხელეს—„მე დიდათ მოხარული ვარ, რომ ასეთ ძვირფას სტუმრებს ვხედავ ჩემ შკოლაშიო, ეგ ჩემთვის დიდი, აედნიერებააო“ და სხვა. განა ეს არ ამტკიცებს რომ თქვენ ლაჩარი ბრძანდებით და სხვაზე უწინ თქვენ მოიხარეთ ქედი დირექციის წინ? განა თქვენ არ ბრძანდებით ამ უკანასკნელ დროს დირექტორთან რომ მიბრძანდით და დაეღრიჯეთ, რათა ჯამაგირი ეძლია ქალაქის გამგეობას ენკენისთვემდის? შეეფერება ეს საქციელი იმ ადამიანს, რომელსაც სურს მებრძოლის და გმირის სახელი ატაროს? ნუ თუ ამის შემდეგ თქვენ უფლება გაქვსთ აძაგოთ ის მასწავლებლები, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ დირექციასთან და იძულებულნი არიან დირექტორთან იარონ?

მაგრამ თქვენ დღეიდან ყველაფერი შეგიძლიანთ ქნით, ყველაფრის უფლება გაქვთ.

(შემდეგი იქნება)

ნიკო აბზიანიძე

რედაქტორ-გამომცემელი
ქ. ხერხეულიძე

## განცხადებანი

**ბუხგალტერია**

ვისაც სურს გაეცნოს იმას, თუ რა ნაირად ვასწავლი მიწე-მოწერით იტალიანურ ბუხგალტერიას და კომერციულ სხვადასხვა ცოდნას, იმათ გავუგზავნი პროსპექტს და ერთ სანიმუშო ლექციას უფასოდ.

Я. Ю. Маркъ ქალაქი ლიბავა










**ივ. გომელაურის** შედგენილი წიგნი სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები**

წიგნი პირველი, მეორე გამოცემა. იყიდება თფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნი **ყდით** ღირს 70 კ., მაღაზიებს დაეთმობა 20 პროცენტათ. იქვე იყიდება „მოწაფის ჰიგიენა“ ფ. 4 კ. (5--2)

დაიბეჭდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს ახალი

**ჩანგი**

თფილისის ხელის მომწერთ შეუძლიათ მიიღონ 13 აგვისტოს. პროვინციაში კი—20 აგვისტოს. იმ აგენტს ვისაც ფული არა აქვს წარმოდგენილი წიგნები **არ** გაეგზავნება.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი

**ჩანგი**

წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 30 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღეროდ საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაჭრეებს % დაეთმობათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 30 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზანის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.

**ადრესი:** Тифлисъ. т-во Сорапань. М. Гачечиладзе.

GRAND PRIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

დედამიწაზე
საუკეთესო
**გალოშები**
სამ კუთხედით

1860.
Т. Р. А. Р. М.
С. ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინომანუფაქტურის ამხანაგობა

**ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“**

ს.-პეტერბურგში

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.

**იყიდება ყველგან**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1. ტელეფონი № 539.